

გიორგი ნაკათელი. სარგი ჯიქია

აღმოსავლეთმცოდნეობა საქართველოში¹

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და კულტურის შესწავლას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ სისტემატური მუშაობა ამ მხრივ მხოლოდ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან დაიწყო.

იმდროინდელ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე შემოღებული იქნა რიგი აღმოსავლური ენების სწავლება, როგორიცაა: სანსკრიტი, ძველი სპარსული (პროფ. გიორგი ახვლედიანი), არაბული (პროფ. ა. შანიძე) და ახალი სპარსული (პროფ. იუსტინე აბულაძე). 1933 წლიდან, კავკასიური და აღმოსავლური ენების კათედრის დაარსების შემდეგ (გამგე პროფ. არნოლდ ჩიქობავა), აღმოსავლური ენების შესწავლა მნიშვნელოვნად გაძლიერდა. შემდეგში ერთი კათედრის ნაცვლად, რომელიც აღმოსავლურ ენათა სწავლებას ხელმძღვანელობდა, ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი კათედრები: სემიტოლოგიის (გამგე პროფ. გ. წერეთელი), ირანისტიკისა (გამგე პროფ. იუსტინე აბულაძე, პროფ. დ. კობიძე) და თურქოლოგიის (გამგე პროფ. ს. ჯიქია). ამ კათედრებზე წარმოდგენილია რიგი აღმოსავლური ენა და ლიტერატურა არაბული, აქადური, ძველი ებრაული, არამეული, ურარტული, სანსკრიტი, ძველი სპარსული, საშუალო სპარსული, ახალი სპარსული, აზერბაიჯანული, თურქული და სხვა ენები. გარდა ამისა, 1945 წელს დაარსდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა (გამგე პროფ. ე. გაბაშვილი), რომელიც ხელმძღვანელობს ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის შესწავლის საქმეს.

ამის გვერდით, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში 1936 წელს შეიქმნა აღმოსავლური განყოფილება, რომელიც შემდეგ, 1942 წლიდან ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილების სახით არსებობს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან (განყოფილების გამგე პროფ. გ. წერეთელი).

საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიის უძველესი ეპოქის შესწავლისათვის, ეპოქისა, რომლისაგან არც ქართულსა და კავკასიის არც ერთ სხვა ენაზე ცნობები არ არის დაცული, ბერძნული მასალების გვერდით

¹ წაკითხული იყო მოხსენებად აღმოსავლეთმცოდნეთა პირველ საკავშირო კონფერენციაზე ქ. ტაშკენტში, 1957 წლის 4 VI.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყაროებს ძველ აღმოსავლურ ენებზე, როგორიცაა ურარტული, ხეთური, აქადური და სხვ.

მაგრამ მცირე აზიის ენები ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენენ სხვა მხრივაც. ჯერ კიდევ იმთავითვე, როდესაც დადგენილი იყო ურარტულის, ხურიტულის, შუმერულისა და სხვა აღმოსავლური ენების არაინდოევროპული და არასემიტური ხასიათი, ბუნებრივად, დაისვა საკითხი მათი ურთიერთობის შესახებ კავკასიის ენებთან. ამიტომ გასაგებია ის ყურადღება, რომელიც ექცეოდა ჩვენთან ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენებისა და კულტურის შესწავლას.

ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ჯერ კიდევ აკად. ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ბოლო ხანებში საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნა. ავტორი, დიდი რაოდენობის საკუთარი და გეოგრაფიული სახელების ანალიზის შედეგად, ცდილობს დაადგინოს კავკასიის ხალხთა კავშირი ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან¹.

აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომებს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული და კავკასიური ტომების ეთნოგენეტიკური კავშირის საკითხის შესწავლისათვის.

ამავე პრობლემებისადმი მიძღვნილი აკად. სიმონ ჯანაშიას რიგი გამოკვლევები. ნაშრომში „უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსა-ცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე“² განხილულია ხურიტების (სუბარების) ისტორიის რიგი საკითხები და გამოთქმულია ახალი მოსაზრებანი იმ ტოპონიმიკური ტერმინების ლოკალიზაციისათვის, რომლებიც ნახსენებია ასურეთის მეფის სარგონ II-ის (VIII ს. ჩვ. ერ-დე) ანალებსა და სხვა ძეგლებში. აქვე მოცემულია მეტად მნიშვნელოვანი ეტიმოლოგიები. მეორე ნაშრომში³, რომელიც მიეძღვნა ქართული ეთნიკური ტერმინების გენეზისის შესწავლას. აკად. ს. ჯანაშია ახალი მასალების საფუძველზე იძლევა იეროგლიფური ხეთური დამწერლობის მქონე ხალხის სახელწოდების საყურადღებო ახსნას. მასვე ეკუთვნის მიმოხილვითი ხასიათის შრომა ურარტუს შესახებ⁴.

იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართების პრობლემას მცირე აზიის ძველი ენებისადმი მიეძღვნა აკად. არნ. ჩიქობავას რიგი გამოკვლევები. მისი შრომების წყალობით, სადაც ზედმიწევნითი ლინგვისტური ანალიზის შედეგად აღდგენილია ქართველური და იბერიულ-კავკასიური ენების პირვანდელი

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წიგნი I. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1950, გვ. 246.

² ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940.

³ თუბალ-თაბად, ტიბარენი, იბერი. ენიმკის მოამბე, I, 1937.

⁴ ჟურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 17, თბილისი, 1936, ასევე „შრომები“, ტ. II, 1952.

სტრუქტურა, შეიქმნა წინამძღვრები იბერიულ-კავკასიური ენებისა და მცირე აზიის ძველი ენების (ურარტულის, ხურიტულის, პროტოხეთურის და სხვ.) შედარებითი-ისტორიული შესწავლისათვის¹.

დოც. პეტრე უშაკოვის ნაშრომები² ეხება ქართველური ტომებისა და მცირე აზიის რიგი ძველი ხალხების გენეზისის საკითხებს. ავტორი მიუთითებს ფაქტებზე, რომლებიც, მისი აზრით, ადასტურებენ პროტოხეთურის, კასიტურისა და მცირე აზიის ზოგიერთი ენის მსგავსებას ქართველურ ენებთან.

მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა ურარტუს ისტორიისა და ენის შესწავლის ხაზით. 1939 წელს აკად. გ. წერეთელმა გამოსცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ურარტული წარწერები³. ნაშრომში მოცემულია ურარტული ტექსტები ტრანსკრიფციით, ფაქსიმილზე და ფოტოები; ამასთანავე პირველად აღდგენილი ზოგიერთი წარწერა, მათ შორის საკულტო ხასიათისა. თარგმანისა და კომენტარების გვერდით, რომლებიც პირველად ჩვენში ითვალისწინებდნენ მსოფლიო მეცნიერების იმდროინდელ დონეს ამ დარგში, ნაშრომში მოცემულია ურარტული ზმნის სტრუქტურის ანალიზი.

მანვე დაამზადა ურარტული ზმნის უღვლილებისა და სახელის ბრუნების შესახებ სპეციალური გამოკვლევა, რომელშიაც ახლებურადაა გაშუქებული ურარტული ენის სტრუქტურის ძირითადი საკითხები.

პროფ. გიორგი მელიქიშვილის შრომები⁴ მიეძღვნება ქართველური ტომების უძველეს ისტორიასა და გენეზისს, აგრეთვე ურარტუს ხალხის ისტორიისა და ენის შესწავლას და მათი კავშირის საკითხებს ქართველებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან. გ. მელიქიშვილის აზრით ქართული ენა ენათესავება ურარტულს და, ამასთანავე, ავლენს ურარტული ენის გავლენის კვალს, ურარტუს ხალხი, მისი აზრით, შეერწყა ქართველ ტომებს ურარტუს სამეფოს დაცემისას.

¹ სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი, 1942; ² კანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938; ³ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. თბილისი, 1948; ⁴ მიმართულებითი ბრუნვის წარმოებისა, მნიშვნელობისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ენიშკის მოამბე, ტ. I, 1937 და მთელი რიგი სხვა შრომები იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებიდან.

² Хеттская проблема. К вопросу о генезисе и взаимоотношениях индоевропейских и картвельских языков. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 18, 1941; Проблема древнейшего населения Малой Азии, Кавказа и Эгеиды. ВДИ, 1939 г., т. IV; Тао-Кларджетия в конце IX и VIII веков до нашей эры. Труды Тбилисского учительского института, т. I. 1941 г. და სხვ.

³ გ. წერეთელი. საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები, თბილისი, 1939.

⁴ ურარტული ტომების უძველესი კერა. ანალები. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1947; ურარტუს მეფეთა საომარი და სააღმშენებლო წარწერების სტილის ზოგიერთი საკითხი. მიმომხილველი, I, თბილისი 1949; უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მიმომხილველი, II, 1951; ურარტუს უხეხავს ღვთაებათა კულტის ცენტრები. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 6; თბილისი, 1946; ურარტუს მეფე რუსა II-ის ლურსმული წარწერა სოფ. ადილჯევახიდან, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XI, № 10, 1950; ურარტული ლურსმული წარწერის ფრაგმენტი სოფ. ადილჯევახიდან. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 2, 1951; ურარტუ, თბილისი, 1951 და სხვ.

გ. მელიქიშვილის ამასწინათ გამოქვეყნებულ შრომებში „ნაირი-ურარტუს ტუ“¹ და „ურარტუს ლურსმული წარწერები“² დაწვრილებითაა განხილული ისეთი საკითხები, როგორიცაა ნაირი-ურარტუს გეოგრაფია, პოლიტიკური ისტორია, სოციალურ-ეკონომიური ურთიერთობანი, რელიგია, კულტურა, ურარტული ენის გრამატიკა, ტექსტები თარგმანითა და კომენტარებითურთ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთელი კომპლექსი საკითხებისა, რომლებიც დაკავშირებულია ნაირი-ურარტუსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესწავლასთან. ამ შრომებისათვის, როგორც ცნობილია, გიორგი მელიქიშვილს მიენიჭა მთავრობის უმაღლესი ჯილდო—ლენინის პრემია.

ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ენათა შესწავლის დარგში უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა ჯგუფი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისა, რომლებიც აქუშავენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ხეთების სახელმწიფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომების (ქაშქების) ისტორია (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გრიგოლ გიორგაძე), ხურიტული საზოგადოების ისტორია ნუზის არქივის მასალების მიხედვით (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ ცქიტიშვილი), ზაგროსის მთიანეთის ტომების ისტორია (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ შარაშენიძე), ასურულ-ურარტული ურთიერთობანი VIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჩვ. წელთაღრიცხვამდე (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი არჩილ ბარამიძე), მონობის ინსტიტუტის განვითარების საკითხები ხეთების სახელმწიფოში (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ედუარდ მენაბდე), ურარტული და ასურული იდეოგრაფებისა და დეტერმინანტივების ურთიერთმიმართება (ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა გვახარია) და სხვ.

უკანასკნელ ხანებამდე ჩვენ არ გვყავდა სპეციალისტები ძველი აღმოსავლეთის ისეთ ენებში, როგორიცაა ხეთური, ხურიტული და შუმერული. მაგრამ ახლა ამ დარგებშიაც გამოჩნდნენ ახალგაზრდა კადრები, რომლებმაც გამოავლინეს მართებული გაგება მეცნიერების წინაშე მდგომი ანოცანებისა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შრომები ახალგაზრდა მეცნიერის თამაზ გამყრელიძისა, რომელიც მუშაობს ხეთოლოგიის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ინდოევროპული ლარინგალური ჰიპოთეზა და თანხმოდანთა გადაწევა ხეთურ ენაში, ხეთური დამწერლობის წარმოშობის საკითხი, არაინდოევროპული ელემენტები ლურსმულ ხეთურში, ინდოევროპული ტომების მცირე აზიაში გადასახლების საკითხი³ და ა. შ. მისი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს ამ დარგში წარმოადგენს დებულება ხეთური ლურსმული

¹ თბილისი, 1954.

² ВДИ, 1953, № 1—4.

³ იხ. თ. გამყრელიძე. „ხეთური ენები“ და ინდო-ევროპულ ტომთა მცირე აზიაში გადასახლების საკითხი. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია. ტ. II, 1957; ინდოევროპული SO, Sg. tod ნაცვალსახელი და სტერტევანტის „ინდო-ხეთური“ ჰიპოთეზა. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. № 2, 1957; ზოგი არაინდოევროპული ელემენტის შესახებ ხეთურ (ნესიტურ) ენაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVII, № 2, 1956 და სხვ.

დამწერლობის წარმოშობის შესახებ აქადური დამწერლობის იმ სახეობიდან. რომელიც ჩრდ. სირიაში იყო გავრცელებული და არა ხურიტულიდან, რომელიც გორც დღემდე იყო მიღებული.

ძველი აღმოსავლეთის ენებთან ახლო დგას სემიტოლოგია. სემიტოლოგია. ყველაზე მდიდრად წარმოდგენილი და ამდენად სემიტურ ენათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არაბული ენით—მთლიანად, და ასირიოლოგია, კერძოდ. აქამდე რჩება იმ საფუძვლად, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მცირე აზიის ძველი ენების შესწავლა. ასურულ-ბაბილონურმა არა მხოლოდ დაიცვა ძეგლების მნიშვნელოვანი რაოდენობა ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ენისა და კულტურის შესასწავლად, არამედ ხშირად თვით წარმოადგენს ერთდერთ წყაროს ძველი აღმოსავლეთის მთელი რიგი ენების გაგებისათვის. მაგრამ ასურულ-ბაბილონურის რამდენადმე სერიოზული ცოდნის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება სათანადო მომზადების გარეშე არაბულში, ძველ ებრაულსა და სხვა სემიტურ ენებში.

სემიტურ ენებს ჩვენთვის სხვა მხრივაც აქვთ მნიშვნელობა. ქართველები უძველესი დროიდან იმყოფებოდნენ კულტურულ-ისტორიულ კავშირში სემიტ ხალხებთან და მათთან ამ კავშირის კვალი ქართულში, ვგონებ, უფრო მეტადაა დაცული, ვიდრე წინა აზიის ძველი სამყაროს რომელიმე სხვა ხალხთან.

ამ მხრივ ცალკე უნდა აღინიშნოს ძველი ებრაული ენისა და ძველი ებრაული ლიტერატურული ძეგლების მნიშვნელობა, რომლებმაც ჯერ კიდევ ქრისტიანულ ეპოქაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურის წარმოშობის საქმეში.

არამეული ენის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა ჩვენში მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების შემდეგ. ამ გათხრების წყალობით აღმოჩენილი იქნა არამეული წარმოშობის თავისებური დამწერლობა, რომელიც ამჟამად მეცნიერებაში ცნობილია არმაზულის სახელით. იგი ამოშიფრა და გამოსცა აკად. გიორგი წერეთელმა, რომელმაც სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა მას¹. ხსენებული დამწერლობის დაწვრილებითი კვლევის შედეგად გ. წერეთელმა გამოავლინა მისი კავშირი ქართულ დამწერლობასთან, რომლის წარმოშობაც ამჟამად ცოტა სხვაგვარად წარმოიდგინება².

არმაზის წარწერების წაკითხვამ მოგვცა საშუალება აღგვედგინა იბერიის (საქართველოს) სახელმწიფო წყობის, პოლიტიკური ისტორიის, სოციალური და კულტურული ცხოვრების სურათი ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.

არმაზის წარწერების მნიშვნელობას მოწმობს ის ფაქტი, რომ 1941 წელს გ. წერეთლის მიერ გამოცემული „არმაზის ბილინგვის“ გარშემო შეიქმნა მთელი ლიტერატურა როგორც ჩვენში, ისე ევროპასა და ამერიკაში; ახლაც კი

¹ Г. В. Церетели. Армазская билингва, თბილისი, 1941. აგრეთვე—ენიშკის მოამბე, XIII, თბილისი, 1942, გვ. 1 შმდ.

² იხ. Г. В. Церетели. Армазское письмо и проблема происхождения грузинского алфавита. Эпиграфика Востока, Москва-Ленинград, II, 1948, III, 1949.

გრძელდება სპეციალური სტატიების პუბლიკაცია არმაზის ბილინგვალური შესახებ¹.

ქართველი სემიტოლოგები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ არაბული ენისა და არაბული კულტურის შესწავლას.

არაბული ზმნის, ისე როგორც მეტყველების სხვა ნაწილების სტრუქტურის საკითხებს მიეძღვნა დოც. ალექსი ლეკიაშვილის გამოკვლევები².

დოც. ა. ლეკიაშვილმა შრომაში „ძირთა სემასოლოგიური და მორფოლოგიური პარალელები კლასიკურ არაბულში“, სიტყვათა ძირების კვლევის შედეგად დაადგინა, რომ არაბულში ძირები ისტორიულად წარმოადგენენ ფუძეებს, სადაც ძირეული ნაწილის (ორი თანხმრავანი) გვერდით გამოიყოფა არაძირეული ელემენტები, რომლებიც წარმოიშვნენ ფონეტიკურ ან რომელმე სხვა ნიადაგზე. მასვე ეკუთვნის გამოკვლევები ელატივის ფორმის გენეზისის, წოდებითი ბრუნვის ისტორიისა და სალიტერატურო არაბულის სტრუქტურის რიგი სხვა საკითხების შესახებ.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ლეილა თუშიშვილს ეკუთვნის გამოკვლევა არაბული ლექსიკური ელემენტების შესახებ ფირდოუსის „შაჰ-ნამე“-ში.

თბილისელი არაბისტების სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს არაბულად დაწერილი ჩრდ. კავკასიური წარმოშობის დოკუმენტების ენა³. თბილისში აღმოჩენილმა და გამოქვეყნებულმა არაბულმა მასალებმა ჩრდ. კავკასიიდან საგრძნობლად წასწიეს წინ კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის ამ მნიშვნელოვანი ძეგლების შესწავლის საქმე.

ცალკეულმა მეცნიერებმა თავისი გამოკვლევები მიუძღვნეს კლასიკური არაბული პოეზიის საკითხების შესწავლას. ლეილა კიალაშვილი სწავლობდა

¹ ა. შანიძე. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1—2, თბილისი 1941; ვ. აბაევი. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 8, თბილისი, 1944. V. Minorsky, JRAS, v. 1943, p. 83; H. S. Nyberg. Eranos. XLIV, 1946, p. 228. და შმდ.; Marcus N. Tod. Journal of Roman Studies, XXXIII, 1943, გვ. 82, შმდ.; H. W. Bailey. JRAS, 1943, გვ. 1 შმდ.; R. N. Frye. Archaeologica Orientalia in Memoriam Ernst Herzfeld N. Y. 1952; P. Dinger. The Alphabet, p. 268; Bruce M. Metzger. INES. Chicago, vol. XV, № 1, 1956; F. Altheim, H. Junker, R. Stiehl. Mélanges Henri Greigore, IX, 1949, 1—25, P. Grelot. Semitica, VII, Paris, 1958, და სხვ.

² ა. ლეკიაშვილი. არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები, თბილისი, 1953; ელატივის ფორმის გენეზისისათვის არაბულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. 1, თბილისი, 1954; არაბულ ძირთა ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 1, 1955; ელატივის ფორმის საკითხისათვის არაბულში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, თბილისი, 1957.

³ Г. В. Церетели. Письмо Шамиля из Калуги. Труды Института Востоковедения АН СССР, III, Ленинград, 1947, მისივე—Вновь найденные письма Шамиля. Первая сессия Ассоциации арабистов. Москва—Ленинград, 1942. თ. მარგველაშვილი. ჩრდილო-კავკასიური წარმოშობის არაბულ-ენოვან ძეგლთა ენობრივი თავისებურებანი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, თბილისი, 1954; საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან დაღესტნის ერთი არაბულენოვანი საბუთის მიხედვით. იქვე, ტ. II, 1957.

ალ-მუთანაბბის ენასა და სტილს. მასვე ეკუთვნის თანამედროვე არაბი მწერლის ტახა ჰუსეინის ნაწარმოებთა მხატვრული თარგმანი ქართულად.

დიდი მუშაობაა ჩატარებული არაბული დიალექტების შესწავლის მხრივ. შუა აზიაში (უზბეკეთის სსრ) ახლად აღმოჩენილი არაბული დიალექტების შესწავლა ძირითადად ქართველ არაბისტთა დამსახურებაა. 1935 წელს შუა აზიაში გამგზავრებულმა ქართველ არაბისტთა ექსპედიციამ შესძლო დაედგინა არსებობა ორი დამოუკიდებელი არაბული დიალექტისა, რომლებიც ავლენენ ნათესაურ კავშირს ერაყისა და, ნაწილობრივ, ცენტრალური არაბეთის ბედუინთა მეტყველებასთან. ამასთანავე, ხსენებულ დიალექტებში შეინიშნება სხვა არაბული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმები და მოვლენები¹.

დოცენტმა ვლადიმერ ახვლედიანმა თავისი მონოგრაფია მიუძღვნა თანამედროვე არაბული დიალექტების ფონეტიკას, კერძოდ, ფარინგალურ ბგერებს².

ფარინგალურ ბგერათა ისტორიას ძველ ებრაულ ენაში მიეძღვნა მზექალა შანიძის საკანდიდატო დისერტაცია. უახლესი მასალების (უგარიტული ტექსტებისა და სხვ.) შესწავლის საფუძველზე და შედარებით ისტორიული მეთოდის გამოყენებით ავტორი დადებითად წყვეტს ველარული სპირანტების ლ და ზ-ს არსებობის საკითხს სემიტური ენების ქანაანურ ჯგუფში მისი განვითარების ადრინდელ სტადიაზე.

თბილისი არის ერთ-ერთი იმ მცირეოდენი სამეცნიერო ცენტრთაგანი, სადაც წარმოებს თანამედროვე არაბული დიალექტების, კერძოდ ურმიის ასურელთა ენის გეგმაზომიერი შესწავლა. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინე წერეთელმა ამ ენის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ თავისებურებებს მიუძღვნა რიგი გამოკვლევები³.

¹ იხ. პროფ. გიორგი წერეთლის გამოკვლევები: შუა აზიის არაბული დიალექტები. ენიზკის მოამბე, თბილისი, 1936; Нестан-Дареджан в среднеазиатском арабском фольклоре. Сборник Руставели. Тбилиси, 1938. Материалы для изучения арабских диалектов Средней Азии. Записки ИВАН АН СССР. УП, 1939; К характеристике языка среднеазиатских арабов. Труды второй сессии Ассоциации арабистов, 1937 г.; К образованию некоторых основных глагольных форм в бухарском арабском диалекте. Труды Тбилисского Государственного университета. XXX/1. Тбилиси, 1947; Арабские диалекты в Средней Азии. Доклады советской делегации на XXIII Международном Конгрессе Востоковедов, Москва, 1954. К изучению языка среднеазиатских арабов. Труды института языкознания АН Груз. ССР. Тбилиси, 1954. Арабские диалекты Средней Азии, т. 1, Тбилиси, 1956 და სხვ.

² ფარინგალურ თანხმოვანთა რეფლექსები თანამედროვე არაბულ დიალექტებში, 1953 წ. (საკანდიდატო დისერტაცია). გამოკვლევა მზადაა დასაბეჭდად (ავტორეფერატი დაიბეჭდა 1953 წ.); ფარინგალების ცვლილების ზოგი საკითხი არაბულში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, თბილისი, 1954; ფარინგალური თანხმოვნების წარმოების თავისებურებანი არაბულ დიალექტებში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები. აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, 1957.

³ ურმიული სინჰარმონიზმი (ზოგადი დაზუსტება), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 7, 1946; ურმიული სინჰარმონიზმის საფუძველი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII.

გარდა ამისა მან დაწერა ვრცელი მონოგრაფია თანამედროვე არამეულ დიალექტების შედარებითი-ისტორიული ფონეტიკიდან. ანალოგიურად ხასიათის შრომა სემიტურ ენათა აღნიშნული ჯგუფისათვის სემიტოლოგიურ მეცნიერებაში არ არსებობს.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ირანული ფილოლოგიის დარგში. სსრკ-ს წევრ-კორესპონდენტმა პროფ. გიორგი ახვლედიანმა თავისი შრომები მიუძღვნა მთელი რიგი საკითხების დამუშავებას ინდურ-ირანული ენების დარგში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მრავალრიცხოვანი შრომები, რომლებიც ოსური ენის სტრუქტურისა და ისტორიის ძირითად საკითხებს ეხება¹. მასვე ეკუთვნის რიგველისა და ავესტის ზოგიერთი ნიმუშის მაღალხარისხოვანი თარგმანი, ასევე ზოგიერთი ძველი სპარსული ტერმინის ეტიმოლოგია.

ინდური ენების სტრუქტურის საკითხებს მიუძღვნეს თავისი შრომები ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა გივი ნახუცრიშვილმა და თინათინ ქავჭავაძემ.

დოცენტი მზია ანდრონიკაშვილი იკვლევს ძველ ქართულ ტექსტებში ხმარებული ზოგიერთი სპარსული სიტყვისა და გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის საკითხებს².

პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი გამოკვლევა ქართულ-სომხურ-სპარსულ-უილურული ოთხენოვანი წარწერის შესახებ გარეჯის „მრავალმთიდან“³.

№ 9—10, 1946; თანხმოდანთა პალატალიზაციის შემთხვევები ურმიის არამეულ დიალექტში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, № 8, 1948; გრძელი ხმოვნები ურმიის არამეულ დიალექტში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 47 1952; თანხმოდანთა ასიმილაციის შემთხვევები ურმიის არამეულ დიალექტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, თბილისი, 1954; კუთვნილებითი ნაცვალსახელი ურმიულში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XIII, 1952; გემინაციის შესახებ ურმიის არამეულ დიალექტში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, № 9, 1952; მეშველი ხმოვნის გაჩენა ურმიულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 1, 1953; ხმის უღვლილების სისტემა თანამედროვე ასურულ დიალექტებში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, თბილისი, 1957.

¹ პროტექტული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1923. № 4 „სამხ. ოსური“ თუ დვალური? „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1925, № 3—4, გემინირებული და „ნახალიზებული“ აფრიკატების შესახებ ოსური ენის დვალურ დიალექტში, თბილისი, 1936; დისიმილაციური გამეღერება ოსურ ენაში, თსუ შრომები, 1941; დ. კონქაძის ადგილი ოსური ენის შესწავლის ისტორიაში, თბილისის სამასწ. ინსტ. შრომები, 1943. ტ. 3. და სხვ.

² ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, 1, თბილისი, 1946. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, (1954), ტ. II, (1957) და სხვ.

³ გარეჯის „მრავალმთის“ სომხური ეპიგრაფიკა და პოლიგლოტური წარწერა—ქართულ-სომხურ-სპარსულ-უილურული, ენიშკის მოამბე, ტ. V—VI, თბილისი, 1940.

დოც. ლეილა თუშიშვილი თავის შრომებში ეხება სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსის რუდაქის ენისა და სტილის შესწავლას¹, ასევე სპარსული დიალექტოლოგიის საკითხებს².

ქართველი ირანისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სპარსულ ლიტერატურას, რომლის საუკეთესო ნიმუშები წარმოდგენილია ძველ ქართულ თარგმანებში, დაწყებული ჯერ კიდევ კლასიკური ეპოქიდან.

სპარსული ლიტერატურისა და ენის საკითხების შესწავლას მიუძღვნა თავისი წრავალრიცხოვანი შრომები თბილისის უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის დამაარსებელმა პროფ. იუსტინე აბულაძემ. იგი ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას შაჰ-ნამესა და ვისრამიანის ქართული თარგმანების გამოცემასა და კომენტირებაში, აგრეთვე ქართულ-ირანული და ქართულ-ტაჯიკური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების დამუშავებაში. მასვე ეკუთვნის რიგი შრომები სპარსული ეტიმოლოგიებიდან³.

დოცენტ მაკარ ხუბუას შრომები ეხება კლასიკური სპარსულის სინტაქსისა და სტილის საკითხებს, სპარსული მხატვრული პროზის პრობლემებსა და ცალკეულ ეტიმოლოგიებს⁴. მანვე გამოაქვეყნა უაღრესად მნიშვნელოვანი სპარსული ფირმანები⁵, რომლებსაც გვიანი საშ. საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ასევე სპარსული დიპლომატიკის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

დოცენტმა ვლადიმერ ფუთურიძემ გამოაქვეყნა ცალკეული სპარსული ისტორიული თხზულებების თარგმანები (ალ-ისტახრი, ჰუდუდულ-ყალამი, ჰამდ ალ-ლანჰ კაზვინი და სხვ.), რომლებიც ეხება საქართველოს⁶. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ ამასწინათ გამოცემული კაპიტალური შრომა „ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტები“⁷, რომელშიც გამოქვეყნებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ორენოვანი ქართულ-სპარსული დოკუმენტების დიდი რაოდენობა.

¹ რუდაქი, (კრებული) სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957.

² შირაზის ზონის სპარსული დიალექტების ძირითადი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებანი. ენათმეცნ. ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1957.

³ იხ. იუსტინე აბულაძე. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები. თბილისი, 1916. XII საუკ. ქართული საერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, 1922 და სხვ.

⁴ О персидских рукописях в грузинской транскрипции. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, № 3, 1941; სარიტმო ერთეულებისათვის სპარსულ ბაგთებში. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 5, 1943; სამი იემენელი ასულის საკუთარ სახელთა ეტიმოლოგია „შაჰ-ნამე“-ს ქართული ვერსიების მიხედვით, ლიტერატურული ძიებანი, II, 1945; სპარსიზმების საკითხისათვის შაჰ-ნამეს პროზაულ ვერსიაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VIII, № 5, 1947; პოეტური ენისა და სტილის საკითხისათვის კლასიკურ სპარსულში, სტალინის სახ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 39, 1950; პირობით წინადადებათა წარმოებისათვის კლასიკურ სპარსულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XI, № 6, 1950 და სხვ.

⁵ საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, I. თბილისი, 1949.

⁶ თბილისი, 1937.

⁷ თბილისი, 1955 (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემა).

ამავე ავტორს (გიორგი წერეთელთან ერთად) ეკუთვნის „XVIII ს-ის ავტორის ფარსადან გორგიჯანიძის „არაბულ-სპარსულ-ქართული ლექსიკონი“. ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ნაშრომი „ქართველი მოღვაწენი ერანის კულტურულ ასპარეზზე“ ¹.

პროფ. დავით კობიძემ გამოაქვეყნა რიგი ნარკვევები სპარსული ლიტერატურის ისტორიიდან, აგრეთვე გამოკვლევები საზანიდების ეპოქის სპარსული ლიტერატურის, ომარ ხაიამის, ფირდოუსის სატირისა და „შაჰ-ნამეს“ ძველი ქართული თარგმანების შესახებ. მანვე გამოსცა ორი წიგნი სპარსული ლიტერატურის ისტორიიდან ².

დოცენტი კონსტანტინე ფალავა სწავლობდა სპარსული ლიტერატურის საკითხებს, როგორც კლასიკურისა (შაჰ-ნამე, რუდაქი, ომარ ხაიამი) ³. ისე, განსაკუთრებით, თანამედროვესი. მან რიგი გამოკვლევა მიუძღვნა დემოკრატიული მიმდინარეობის საკითხებს თანამედროვე სპარსულ პროზაში, აგრეთვე რუსი მწერლების სპარსულ თარგმანებს.

საადის „გოლესთანის“ მიმბაძველობის საკითხები განხილულია ახალგაზრდა ირანისტის მაგალი თოდუას სადისერტაციო ნაშრომში. მასვე ეკუთვნის სპარსული და ტაჯიკური ლიტერატურის (ფირდოუსის, ხაიამის, ჰაფიზის, რუდაქის, ლაჰუთის, მირზო ტურსუნ-ზადესა და სხვათა) ნიმუშების პოეტური თარგმანი.

მეორე ახალგაზრდა ირანისტმა ალექსანდრე გვახარიამ თავისი შრომები მიუძღვნა ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს. მასვე ეკუთვნის პირველხარისხოვანი გამოკვლევა იოსებზილიხანიანის შესახებ, აგრეთვე რუდაქის პოეტიკიდან ⁴.

თურქოლოგიის დარგში მუშაობა ორი ხაზით მიიმართებოდა: ერთი, ქართულ-თურქული კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლა და, მეორე, თურქულ და აზერბაიჯანულ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლა. პროფ. სერგი ჯიქიამ გამოაქვეყნა რიგი თურქული ისტორიული დოკუმენტი, რომელიც საქართველოსა და ქართველურ ენებს ეხება: ი. ფეჩევი საქართველოს შესახებ ⁵, ნაყიმას ცნობები დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში ⁶, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული

¹ ანალები, ტ. I, თბილისი, 1947.

² იხ. დ. კობიძე. ახალი სპარსული ლიტერატურა, I. თბილისი, 1946; იგივე, ტ. II, 1947; მისივე, შენიშვნა „შაჰნამე“-ს გამგრძელებელთა ნაწარმოებების ქართული ვერსიების შესახებ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VII, № 7, 1946; მისივე, ამირან-დარეჯანიანის სადაურობისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, II, 1944 და სხვ.

³ კ. ფალავა. რომანული ეპიზოდების შესწავლისათვის ფირდოუსის შაჰნამეში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 41, თბილისი, 1950; რუს მწერალთა და პოეტთა თხზულებანი სპარსულ ენაზე, იქვე, ტ. 53, თბილისი, 1954; დემოკრატიული მიმდინარეობა ირანის თანამედროვე პროზაში, იქვე, ტ. 61, თბილისი, 1956.

⁴ ა. გვახარია, რუდაქის პოეტიკა. რუდაქი, (კრებული), თბილისი, 1957.

⁵ ენიშკის მოამბე. ტ. V—VI, 1940.

⁶ იქვე, ტ. XIII, 1943.

სიგელი¹. ეპიზოდი XVI ს-ის საქართველოს ისტორიიდან², ევლია ჩელოზი მეგრული და ქართული ენის შესახებ³, ე. ჩელოზი ლაზებისა და ლაზურის შესახებ⁴ და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს სამტომიანი ნაშრომი „გურჯისტანის ვილნაჟეთის დიდი დავთარი“⁵, რომლის მნიშვნელობა განისაზღვრება მასში მოთავსებული მეტად ფასეული მასალით საქართველოსა და თურქეთის ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ XVI ს-ში. ძეგლის წრავალფეროვან მასალას, შეკრებილს ადგილზე ოფიციალური პირების მიერ, ყველა იმ მონაცემის გათვალისწინებით, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის სამეურნეო, ფინანსურ და, საერთოდ, სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოსა და თურქეთის ეკონომიკის, ისტორიისა და კულტურის საკითხების შესასწავლად; აგრეთვე ქართულ-თურქული პოლიტიკური ურთიერთობის შესასწავლად XVI ს-ში.

სიძაქათის ხელით, დიაკრიტული ნიშნების გარეშე დაწერილი ხელნაწერი ტექსტის წაკითხვა დაკავშირებულია განსაკუთრებულ სიძნელეებთან. პროფ. ს. ჯიქიას შრომის სახით ჩვენ გვაქვს ერთი მცირეოდენი შემთხვევათაგანი თურქოლოგიურ მეცნიერებაში სიძაქათის ხელით დაწერილი უჩვეულო საკუთარი სახელების შემცველი ვრცელი თურქული ხელნაწერის წაკითხვისა.

რიგი შრომა მიეძღვნა თურქული და აზერბაიჯანული ენების სტრუქტურისა და ისტორიის შესწავლას. ამ ნხრივ უნდა აღინიშნოს გამოკვლევები თურქული ენის ზოგიერთი აღმოსავლური დიალექტის მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებების შესახებ⁶.

დოცენტმა ელისაბედ გუდიაშვილმა დაწერა შრომები წალკის რაიონის თურქულენოვანი ბერძნების ფონეტიკურ-მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებების შესახებ⁷. გარდა ამისა, ე. გუდიაშვილის მიერ

¹ ენიშის მოამბე, ტ. XIII, 1943.

² მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 31, 1954.

³ კრებულში „СОВЕТСКОЕ ЯЗЫКОЗНАНИЕ“, ტ. II, ლენინგრადი, 1936.

⁴ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VI, 1954.

⁵ გურჯისტანის ვილნაჟეთის დიდი დავთარი, ტ. I (თურქული ტექსტი), 1947; ტ. II (ქართული თარგმანი), 1941, და ტ. III (გამოკვლევა, თბილისი, 1958).

⁶ ს. ჯიქია ერთი მორფოლოგიური მოვლენის შესახებ ანატოლიურ-თურქულის ახალციხის დიალექტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937; lazut სიტყვის წარმოშობისათვის (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. X, № 2, 1944); ბრძანებითი კილოს წარმოშობისათვის აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ დიალექტებში, იქვე, ტ. X, № 8, 1944; კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინის შესახებ თურქულ ენებში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946; ქართულ-თურქული „სასწავლო წიგნი“ XVIII საუკუნისა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, 1954; ქართულ-აზერბაიჯანული ენობრივი ურთიერთობის შესახებ (იქვე, ტ. II, 1957).

⁷ მეორე პირის კუთვნილებით აფიქსიან ფუძეთა ბრუნება წალკის რაიონის თურქულენოვან მოსახლეთა მეტყველებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. I, 1954; წალკის თურქულენოვანი მოსახლეობის მეტყველების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურებების შესახებ, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

მზადაა დასაბეჭდად აღმოსავლეთ ანატოლიის, ტრაპეზუნდის, რიზეს, ორდუს-კირესუნდისა და კასტამუნის თურქული დიალექტების ფონეტიკურ-მორფოლოგიური დახასიათება ა. ჯაფეროღლუს, მ. რიასიანენისა და სხვათა მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ვენერა ჯანგიძე იკვლევს აზერბაიჯანულ დიალექტებს და თურქული გრამატიკის საკითხებს. ვ. ჯანგიძის ნაშრომში „დმანისის რაიონის აზერბაიჯანული მეტყველების თავისებურებანი“ (1955 წ.) დადგენილია, რომ დმანისის მეტყველება თავისი ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მონაცემებით წარმოადგენს აზერბაიჯანული ენის უაზახურ დიალექტს¹. მანვე მიუძღვნა შრომა სოფ. ყარაჯალის აზერბაიჯანულ მეტყველებას და დამახასიათებელ თავისებურებათა საუუძველზე გამოყოფს მას ცალკე დიალექტად, რომელიც აზერბაიჯანული დიალექტების დასავლურ ჯგუფს განეკუთვნება.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ ჯანაშიამ შეკრიბა დიალექტოლოგიური მასალა და შეისწავლა წალკელი ბერძნების თურქულენოვანი მოსახლეობის ე. წ. ზემოწალკური თქმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა მუშაობა ახლო და საშუალო აღმოსავლეთის საშუალო საუკუნეებისა და ახალი ისტორიის დარგში. ამ მუშაობას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა აკად. ივანე ჯავახიშვილმა. თავის ხუთტომიან შრომაში „ქართველი ერის ისტორია“ იგი გვაძლევს ახლო და შუა აღმოსავლეთის ისტორიის მოკლე მაგრამ მნიშვნელოვან მიმოხილვას უძველესი დროიდან გვიან საშუალო საუკუნეებამდე. მანვე პირველად ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დასვა და გააშუქა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის საკითხები აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

ქართულ-არაბული ურთიერთობის საკითხები VIII—IX საუკუნეებში მრავალმხრივ იქნა გაშუქებული აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გამოკვლევებში². ავტორმა, განიხილა რა საქართველოში არაბული ბატონობის ხასიათი, გაარკვია აქედან გამომდინარე პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების მნიშვნელობა ქვეყნის განვითარების შეფერხებაში.

თბილისის საამიროს ისტორიის შესწავლას მიუძღვნა რიგი შრომა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა მარიამ ლორთქიფანიძემ³, რომელმაც არა-

ტეტის შრომები, ტ. 55, 1954; ზოგიერთი ზმნური ფორმის შესახებ ქვემოწალკის თურქულ მეტყველებაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, 1957.

¹ იხ. ქართული ლექსიკური ელემენტები დმანისის აზერბაიჯანულ მეტყველებაში. ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1957 (დისერტაციას მთლიანად გამოსცემს აზერბაიჯანის სსრ მეცნ. აკადემიის ნიზამის სახ. ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტი მიმდინარე წელს).

² ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, თბილისი, 1936.

³ მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან. მიმომხილველი, II, 1951.

ბული და ქართული პარალელური წყაროების ანალიზის საფუძველზე დააზუსტა და გაარკვია არაბულ-ქართული ურთიერთობის რიგი საკითხები.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ვალერიან გაბაშვილმა თავისი გამოკვლევები მიუძღვნა საქართველოს დამოკიდებულებას სეფიანთა ირანთან. ნაშრომში „დასტურლამალი“ მოცემულია XVIII ს-ის ქართული ძეგლის შედარებითი ანალიზი ანალოგიურ სპარსულ ტექსტთან „თაზქირათ ალ-ნულუქ“, რის წყალობითაც მიღებულია ძნიზნელოვანი დასკვნები¹.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა კარლო ტაბატაძემ გამოაქვეყნა გამოკვლევა „ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო“, რომელშიც კრიტიკულადაა შესწავლილი შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეს“ ცნობები საქართველოს, აზერბაიჯანისა და ირანის შესახებ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ვიტალი ჩოჩიევის ნაშრომში „ირან-თურქეთის 1639 წლის ზავი და საქართველო“ გამოვლინდა ახალი. ლიტერატურაში უცნობი ფაქტები.

ქართველი მეცნიერები აღმოსავლეთის ისტორიის რეგიონალური საკითხების გარდა სწავლობდნენ აგრეთვე ზოგად პრობლემებსაც. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. ვ. გაბაშვილის შრომები ისეთი პრობლემების გარშემო, როგორიცაა აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისი, არაბული ხალიფათი, ირანი ილხანიდების დროს XVI ს-ის პირველ ნახევარში, ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა. თურქეთში XV—XVI სს. და სხვ. უკანასკნელ საკითხს თავის შრომებში ეხება აგრეთვე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რევაზ კიკნაძე.

VIII—IX სს. აბასიდების ხალიფატის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობისა და მიწის ურთიერთობის საკითხებს სპეციალურად იკვლევენ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები ეთერ სიხარულიძე და ლევან ნადირაძე. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ფუთურიძემ თავისი გამოკვლევები მიუძღვნა თურქეთის ისტორიის საკითხებს XVI—XVII სს.

აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები წარმოადგენდა ქართველი ორიენტალისტების სპეციალური შესწავლის საგანს. დოცენტმა ოთარ გიგინეიშვილმა ვრცელი მონოგრაფია უძღვნა ქეჰალისტური თურქეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის საკითხებს ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა შოთა კურდღელაშვილმა დაწერა გამოკვლევა—„ინგლის-ეგვიპტის 1936 წ. კაბალური ხელშეკრულების შესახებ“. გამოიკა მრავალრიცხოვანი ბროშურები, პოპულარული ლექციები და სტატიები თანამედროვე თურქეთის, ეგვიპტისა და ირანის ისტორიიდან.

საქართველოს ხელოვნებათმცოდნეები თავის მუშაობაში სისტემატურად იყენებდნენ აღმოსავლური ხელოვნების ნიმუშებს. გარდა ამისა, გამოიკა

¹ იხ. სპარსული დასტურლამალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 35B, 1949; საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XIII—XVI ს-ში; ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში და სხვ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან (XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი). ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955.

ცალკეული მონოგრაფიები, მიძღვნილი აღმოსავლური ხელოვნებისადმი, შესაძლებელია ზედმეტი არ იყოს. აქვე გავიხსენოთ, რომ პროფ. ვერა კრაჩკოვსკაია-კაპიტალური გამოკვლევა მუსლიმანური ხელოვნების დარგში „ფირ-ჰუსეინის მავზოლეუმის ქაშანური ფილები“, რომელიც ფართოდაა ცნობილი სპეციალისტებისათვის, გამოიცა თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს არქიტექტურის ძეგლებზე ირანული გავლენის საკითხებს¹, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა გამოაქვეყნა სპარსული და ინდური ფერწერის შესანიშნავი ნიმუშები².

ქართველი მეცნიერები სათანადო ყურადღებას აქცევდნენ სახელმძღვანელოების გამოცემას აღმოსავლეთმცოდნეობის სხვადასხვა დარგში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცა: სანსკრიტის სახელმძღვანელო (პროფ. გ. ახვლედიანი), არაბული ქრესტომათია (გ. წერეთელი), არაბული ზმნის ფორმათა პარადიგმები (ა. ლეკიაშვილი), არაბულ-ქართული ლექსიკონი (გ. წერეთელი), ასურული ქრესტომათია ლექსიკონით (კ. წერეთელი), სპარსული ენის სახელმძღვანელო (იუსტ. აბულაძე, დ. კობიძე), სპარსული ქრესტომათია (ვ. ფუთურიძე).

გარდა ამისა, დამზადდა სახელმძღვანელოები თურქულ, არაბულ, ძველ ებრაულსა და სხვა აღმოსავლურ ენებში.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის ხაზით რეგულარულად გამოდის ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხთა ენებისადმი და ისტორიისადმი მიძღვნილი სპეციალური კრებულები.

ეს მოკლე მიმოხილვა მოწმობს იმას, რომ ქართველი მეცნიერები მუშაობდნენ აღმოსავლეთმცოდნეობის თითქმის ყველა დარგში, რომელიც მეტნაკლებად დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან. ამჟამად ამოცანა მდგომარეობს კიდევ უფრო გავაძლიეროთ მუშაობა. ჩვენს დროში, მეცნიერების დიფერენციაციის ეპოქაში, როდესაც ყველაზე ვიწრო დარგებმაც კი წინ წამოაყენეს ცალკეული სპეციალისტები, მეცნიერული მუშაობის ტექნიკის გართულების პირობებში, დიდძალი მასალის დაგროვების გამო, ცალკეულ პირთ აღარ ძალუძთ მისწვდნენ ყველა მხარეს საკითხებისას, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ხალხის კულტურული შემოქმედებითი მოღვაწეობის ისტორიის შესწავლასთან. ასეთ მუშაობას არ შეუძლია არ მიგვიყვანოს დილექტანტიზმამდე და ზერელე მსჯელობამდე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ

¹ იხ. III Международный конгресс по иранскому искусству и археологии. Ленинград. 1935, გვ. 252 შმდ.

² შ. ამირანაშვილი. Иранская станковая живопись. თბილისი, 1940; Иранская живопись. თბილისი, 1941.

საჭირო არ არის თართო და მრავალმხრივი მომზადება არა მარტო ვიწრო სპეციალობაში, არამედ მოსაზღვრე დარგებშიც; მაგრამ უნარი მკვლევარისა შემოთარგლოს თავისი კვლევა-ძიების ობიექტი ამყამად, შესაძლებელია, ჩაითვალოს ნამდვილი სწავლულობის ერთ-ერთ მთავარ ნიშნად.

ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი დიდი მეცნიერ-ორიენტალისტის, აკად. ეგნატე კრაჩკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ იმ აღმოსავლეთის მცოდნეს შეუძლია ნაყოფიერად იმუშაოს თავისი სამშობლოს სასარგებლოდ, რომელიც დაუფლებულია მსოფლიო მეცნიერების მთელ გამოცდილებას და შეუძლია შეგნებულად და კეთილსინდისიერად მოეპყრას მას.
